ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ44. 44240945**
თარიღი:**03/04/2024**

ანა კალანდაძის ბიუსტის პიედესტალით დამზადების დროებითი კომისიის შექმნისა და საკონკურსო დებულების დამტკიცების შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2024 წლის კულტურის პროგრამით გათვალისწინებულია ქვეპუნქტი ,,ანა კალანდაძის ბიუსტის დამზადება პიედესტალით".

აღნიშნულის ფარგლებში მიზანშეწონილია გამოცხადდეს კონკურსი ქ. ქუთაისში ახალგაზრდობის პარკში ანა კალანდაძის პორტრეტული ბიუსტის პიედესტალით დამზადების საუკეთესო ესკიზის შერჩევის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე." ქვეპუნქტისა და ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79-ე დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ანა კალანდაძის ბიუსტის პიედესტალით დამზადების კონკურსის შესარჩევი დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **დავით ერემეიშვილი** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე) (ხმის მიცემის უფლებით).

ბ) **ბექა ქებულაძე** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მოწვევით) (ხმის მიცემის უფლებით).

გ) **ელეონორა გოგოლაშვილი** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი - (ხმის მიცემის უფლებით).

დ) **ანა რევიშვილი** – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (ხმის მიცემის უფლებით).

ე) **ხათუნა თავაძე** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (კომისიის მდივანი).

ვ) **ნინო გაჩეჩილაძე** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (კომისიის წევრი მოწვევით) (ხმის მიცემის უფლებით).

ზ) **აბელი ძაგნიძე** - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამშენებლო ნებართვების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (არქიტექტორი/მშენებელი იჟინერი) – (კომისიის წევრი მოწვევით) (ხმის მიცემის უფლებით).

თ) **გიორგი დარსაველიძე** - მოქანდაკე - (კომისიის წევრი მოწვევით) (ხმის მიცემის უფლებით).

2. დამტკიცდეს „ანა კალანდაძის ბიუსტის დამზადება პიედესტალით“ საკონკურსო დებულება დანართი N1 შესაბამისად (დანართი N1 თან ერთვის).

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, დავით ერემეიშვილმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის N11) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი